საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/61

ქ. ბათუმი 09 სექტემბერი, 2020 წ.

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 07 აგვისტოს №01-02/92 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგად 65 წელს მიღწეული პირების არჩევის შესაძლებლობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, 33-35-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მარინა ქორიძის მოხსენებითი ბარათის (MES 8 20 0000758902, 02.09.2020), საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დასაშვებად ჩაითვალოს ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 07 აგვისტოს №01-02/92 ბრძანებით გამოცხადებულ ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში 65 წელს მიღწეული ან მეტი ასაკის პირების არჩევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე, ჯანდაცვის მიმართულებით.
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (აკადემიური საბჭოს აქტების და კონკურსების ველებში) და დაეგზავნოს შესაბამის ფაკულტეტს.
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**